პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აგვისტო ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 178 (15088)

ინიციატივა ფრთებს შლის

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში!

ინიციატორი, მრთველი მ. არათანაშვილი პიროგბას ასრულებს

□

თბილისი. ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. წარმოების ბევრმა ნოვატორმა პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინა. ერთი მათგანია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი მ. გამცემლიძე) მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არათანაშვილი. ფეიქარმა ვალდებულება იკისრა ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში შეესრულებინა. ეს იყო ორი თვის წინათ. განვლილ პერიოდში მრთველმა საქმით დაამტკიცა, რომ დანაპირების შესრულება შეიძლება. იგი სამი მანქანის ნაცვლად ხუთ მანქანას ემსახურება და ყოველდღიურად ნაცვლად 70 კილოგრამისა 180 კილოგრამ ნართს უშვებს, გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ პირველი ხარისხისაა.

მ. არათანაშვილს კომბინატში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ ლ. ზაზაძე, ლ. პეგიტაშვილი, გ. პატიაშვილი, ლ. სლავსკაია, ე. ფომინა, მ. გიგაური და შეჯიბრების თითქმის ყველა მონაწილე. ცხადია, ამან დადებითი გავლენა მოახდინა კომბინატის საქმიანობაზე. გაუმჯობესდა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

კომბინატმა შვიდ თვეში პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 400 ათასი მანეთით გადაჭარბა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 94,1 ტონა ბამბის ნართი, 95,7 ათასი ცალი თეთრეული, 700 კილოგრამი ელასტიკური ნართი, დაზოგა 22,6 ტონა სხვადასხვა სახის ძვირფასი ნედლეული, 800 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 200 ტონა პირობითი საწვავი.

საწარმოში ინიციატივა ფრთებს შლის. ახალ-ახალი მუშები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს კი იმის თავდები, რომ კომბინატი ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულებს ხუთწლედის პირველი წლის დავალებას.

ვხარჯოთ სწორად, ყაირათიანად!

ამ ეცხრე ხუთწლედში მეტად დიდი ამოცანებია დასახული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის უფრო მძლავრი განვითარებისათვის. ჩვენი პარტია და მთავრობა ქმედითს ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ამის შედეგად როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს სოფლის მეურნეობაში საგრძნობი მიღწევებია მოპოვებული. კოლმეურნეობები შესამჩნევად განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და ეკონომიურად.

მაგრამ დასამალავი როდია, რომ ზოგან პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ერთგვარად შეანელეს მომთხოვნელობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისადმი. ამის გამო თავი იჩინა ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თვითნებურმა მოქმედებამ. ეს იმაში გამოიხატება, რომ უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის წესები.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს „სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებაში სერიოზულ დარღვევათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სახსრების არასწორი ხარჯვის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 დეკემბრის დადგენილების განხორციელებისათვის, კვლავ გამოვლინდა საზოგადოებრივი სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა და დარღვევები.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ გალის, გურჯაანის, საგარეჯოს, ჩხოროწყუს, ხელვაჩაურის, ხობისა და სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების არასწორი ხარჯვის ფაქტები. მეურნეობათა ხელმძღვანელები საკმარისად არ ზრუნავენ საზოგადოებრივი სახსრების რაციონალურად ხარჯვისათვის.

ჩვენ კვლავ მივუპატიჟებთ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უფრადღებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხილულ ამ მეტად დამაფიქრებელ, სერიოზულ საკითხებსა და გამოვლინებულ ფაქტებს. სოფელ მუზარის (ჩხოროწყუს რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობამ შარშან რაიონული კულტურის სახლისათვის ეროვნული ტანსაცმლის შესაძენად უკანონოდ დახარჯა 800 მანეთი, ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ საშუალო სკოლისათვის შეიძინა 2,9 ათასი მანეთის ღირებულების 4 პიანინო. ამავე რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ უფასოდ მისცა 290-მანეთიანი ტურისტული საგზური ჩაის ფაბრიკის პუნქტის გამგეს ტ. ჯანელიძეს.

საყურადღებოა ასეთი ფაქტები: გალის რაიონის სოფელ თაგილონის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე შარშან ჩამოსწერეს რადიოქსელის სარგებლობის საფასური, მაშინ როცა სოფელი რადიოფიცირებული არ არის. შეუწყნარებელი დარღვევები იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობაში. აქ ფერწერული ნაწარმოებების შესაძენად დახარჯეს 4.416 მანეთი, კონცერტების გასამართავად კი — 2.300 მანეთი. სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ (გურჯაანის რაიონი) კოლმეურნეებისათვის გამოიწერა 9.184 მანეთის ყურნალ-გაზეთები და შეიძინა 3.360 მანეთის ფეიხბურთის ბურთები, გადახარჯა 16.581 მანეთი ფეიხბურთელთა გუნდის შენახვისათვის, მაშინ, როცა ფეიხბურთის გუნდის არც ერთი წევრი არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

მსგავსი დარღვევები იყო ამავე რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში. გამოვლინებულია კოლმეურნეობების მიერ აშენებული შენობების სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის ფაქტები (ჩხოროწყუს, გურჯაანის, ხელვაჩაურის, გალის, საგარეჯოს, ხობისა და სხვა რაიონებში).

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, ზემოაღნიშნულ დარღვევათა ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ „ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა და საბუღალტრო აღრიცხვა დამაკმაყოფილებლად არ წარმოება, ხოლო ბუღალტრებად მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის პირები... საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და ფინანსთა სამინისტროები, სსრ კავშირის სახელმწიფო განკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მათი ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობასა და სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივი სახსრების სწორ ხარჯვას“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნული დარღვევების დაშვებისათვის ზემოაღნიშნული რაიონების ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი დასახურებულად დასჯა. ეს საგულისხმო გაკვეთილი უნდა იყოს ყველასათვის, რათა შემდგომში არ გამეორდეს მსგავსი შემთხვევები. ყოველი ღონისძიებით სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ სერიოზული ნაკლოვანებანი საზოგადოებრივი სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფაქტები რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონშიც არის.

რედაქციაში მოდის სიგნალები სხვადასხვა სახის დარღვევების შესახებ ახმეტის, საჩხერის, წითელწყაროს, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებიდან. ამიტომ აქედან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

ყურადსაღებია ისიც, რომ ზოგან არ უფრთხილდებიან სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ფულადი სახსრების შენახვას. ეს საკითხიც ამ დღეებში გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი. მიმდინარე წლის 19 ივლისს სოფელ ცუცხვათის (ტყიბული) კოლმეურნეობის თავმჯდომარის უ. კუპრაშვილის, მთავარი ბუღალტრის გ. ფოჩხიძისა და მოლარის ი. კუპრაშვილის დანაშაულის შედეგად მოიპარეს 44.040 მანეთი. მსგავსი ფაქტი მოხდა ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის მეცატრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დანაშაულებრივად გულგრილი დამოკიდებულებისათვის სკკპ რიგებიდან გარიცხა სოფელ ცუცხვათის (ტყიბული) კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. კუპრაშვილი, ხოლო ღრმაღელის მეცატრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. ჯორგენაძე, რომელსაც პარტიის ლანჩხუთის რაიკომმა სასტიკი სასჯელი გამოუცხადა საალრიცხვო ბარათში შეტანით, თანამდებობიდან მოიხსნა. სასჯელი დაედოთ ამ რაიონების ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკსაც.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მათი ხელმძღვანელების ვალია ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ დადგენილებათა განუხრელად განხორციელება და საქმიანი დასკვნების გაკეთება. გვახსოვდეს, რომ ყოველი მუშაკი მუდამ უნდა გვიჩვენებდეს პრინციპულობის, პატიოსნების, თავმდაბლობის, ჩვენი პარტიის საქმისადმი ერთგულების პირად მაგალითს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა: „პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა იბრძოლონ უყაირათოობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, განახორციელონ მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი... საბოლოოდ, განახორციელონ ეკონომიკურ-ფინანსური ორგანიზაციული ზომები, ამოიფხვრას ეკონომიკური ანარქია, ...

მეგობრობის, ურთიერთგაგების სულისკვეთებით

მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს ცნობისადმი მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრის შესახებ, ალნიშნავს ამ შეხვედრაზე სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობისა და საერთაშორისო ვითარების აქტუალურ საკითხებზე აზრთა გაზიარების დიდ მნიშვნელობას.

ვარშავა. „მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრა“, „სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის წარმატებული განვითარება“, „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების პრობლემები“, ასეთი სათაურებით დაბეჭდეს პოლონურმა გაზეთებმა ინფორმაცია, რომ ყირიმში ერთმანეთს შეხვდნენ მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელნი.

გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ მოძმე პარტიების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრამ გულითადად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და მას ახასიათებდა სრული ერთიანობა და ურთიერთგაგება ყველა განხილულ საკითხში.

ბერლინი. „მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრა“, „მეგობრობის სულისკვეთებით“, „აქტუალური საკითხების განხილვა“ — ასეთი სათაურებით „ნოიეს დოჩლანდმა“, „ბერლინერ ციტუნგმა“, „ტრიბუნემ“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა გაზეთებმა პირველ გვერდებზე დაბეჭდეს სრული ტექსტი ინფორმაციისა, რომ 2 აგვისტოს ყირიმში გაიმართა მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრა.

„ბერლინერ ციტუნგი“, „ნოიე ციტი“ და „დერ მორგენი“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აზრთა მეგობრული გაზიარების დროს მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელი მოღვაწენი იხილავდნენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების აქტუალურ საკითხებსა და საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს. „ყურადღების ცენტრში, — წერს „ნოიე-ციტი“, — იყო აგრეთვე ევროპის უშიშროების საკითხები“.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ინფორმაცია, რომ ყირიმში ერთმანეთს შეხვდნენ მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელი მოღვაწეები და საბჭოთა ხელმძღვანელები.

სათაურებში პრესა ხაზს უსვამს მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების თვალსაზრისთა სრულ ერთიანობას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისა და თანამედროვე საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ: სოციალისტურ სახელმწიფოთა პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საჭიროა ევროპის ყველა ქვეყნის აქტიური ღონისძიებანი კონტინენტზე დაძაბულობის შენელებისათვის, რადგან ამას მოითხოვენ ევროპის ხალხთა ინტერესები.

პრესა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ყირიმის შეხვედრაზე გამოითქვა დიდი შეშფოთება სუდანში ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული ტერორის გამო.

სოფია. ბულგარეთის მთელმა ცენტრალურმა პრესამ დაბეჭდა ინფორმაცია, რომ ყირიმში გაიმართა მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრა. **გაზეთები ამ ინფორმაციებს ბეჭდავენ მსხვილი სათაურებით: „სრული ერთსულოვნება და ურთიერთგაგება“, „მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა“.**

ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ ქვეყნის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა ცენტრალური თემაა.

გუდაპეშტი. უნგრეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ინფორმაციას, რომ ყირიმში გაიმართა მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნეფსაბადშაგი“ ინფორმაციას ბეჭდავს შემდეგი სათაურით: „ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების ნიშნით“.

პრესა ხაზს უსვამს ინფორმაციის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს მომძე სოციალისტური სახელმწიფოების მიერ მოპოვებული დიდი წარმატებების, მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე მათი ყოველმხრივი მჭიდრო ურთიერთობის მზარდი მნიშვნელობა.

ულან-ბატორი. მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრა მონგოლეთის პრესის ყურადღების ცენტრშია.

ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ მსხვილი სათაურით პირველ გვერდზე გამოქვეყნდა გაზეთ „უნენის“ დღევანდელ ნომერში. მონგოლეთის ცენტრალური რადიო გადასცემდა სრულ ტექსტს ცნობისა ამ შეხვედრის შესახებ.

პარიზი. ფრანს პრესის სააგენტო ბეჭდავს ცნობას სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრის შესახებ და აღნიშნავს, რომ აზრთა გაზიარების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროების განმტკიცების საკითხებს.

მოყვანილია ის ადგილი, სადაც ხაზგასმულია, რომ საჭიროა ევროპის ყველა სახელმწიფომ გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები დაძაბულობის შენელების გზაზე.

ლონდონი. რეიტერის სააგენტომ გადასცა დაწვრილებითი შინაარსი ცნობისა ყირიმში სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრის შესახებ.

აღნიშნულია, რომ თათბირის მონაწილეებმა დაადასტურეს თავიანთი შეხედულებების სრული ერთობა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენისა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერის თაობაზე.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სერიოზული შეშფოთება ფასტიკი ტერორის გამო, რომელიც თავს დატეხეს კომუნისტურ პარტიასა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს სუდანში.

ნიუ-იორკი. ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრეს ინტერნაციონლის საგაზეთოები თავიანთ ცნობებში აღნიშნავენ, რომ ყირიმის შეხვედრაზე განიხილეს ბევრი აქტიური პრობლემა.

ორივე სააგენტო ყურადღებას აქცევს იმას, რომ შეხვედრის მონაწილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „ყოველმხრივი საჭირო მხარდაჭერა გაუწიონ ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ“.

ყურადღება ეთმობა აგრეთვე შეხვედრის მონაწილეთა განცხადებას, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ამასწინანდელი წინადადებანი მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ინდოჩინეთში „შეესაბამება ინდოჩინეთის ხალხთა ძირეულ ინტერესებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და უშიშროების აღდგენის სამართლიანი საფუძველია“.

ბრიუსელი. ბელგიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ცნობას მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ყირიმის შეხვედრის შესახებ.

გავლენიანი „ლიბრ ბელჟიკი“ ბეჭდავს შეხვედრის შედეგების შესახებ ინფორმაციის დაწვრილებით შინაარსს. გაზეთი ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულმა მშვიდობის პროგრამამ „დიდი როლი უნდა შეასრულოს საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილ შენელებაში, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფაში“. „ლიბრ დელჟიკი“ აღნიშნავს, რომ ცნობაში დიდი ყურადღება ეთმობა ევროპის მდგომარეობის.

3 აგვისტო. (საკდესი).

ფაქტები ამხილებენ

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო. (საკდესი.). აქ დაიწყო უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც მოიწვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვინეის მუდმივი წარმომადგენლის ა. ტურეს თხოვნით იმასთან დაკავშირებით, რომ პორტუგალია კვლავ ახალი აგრესიით იმუქრება გვინეის რესპუბლიკას.

უშიშროების საბჭო განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვინეის მუდმივი წარმომადგენლის წერილს, რომელშიც მოყვანილია ფაქტები იმის შესახებ, რომ ახალი აგრესია მზადდება გვინეის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ გვინეის უშიშროების ძალებმა მოისმინეს პორტუგალიის კოლონიური ჯარების შტაბისა და უსოფოთის სამხედრო გემების რადიომოლაპარაკება, რომელშიც განიხილავდნენ გვინეის რესპუბლიკის მთელ რიგ მთავარ პუნქტებზე, კერძოდ, კონაკრიზე პორტუგალიის თავდასხმის გეგმებს.

მომავალი აგრესიის ერთ-ერთი მიზანია, აღნიშნა ა. ტურემ წერილში, პორტუგალიის ჯარებმა „გაათავისუფლონ მისიონერები და სხვა აგენტები“, რომელნიც გვინეის ჯარებმა დაატყვევეს გვინეის წინააღმდეგ 1970 წლის 22 ნოემბრის აგრესიის დროს.

კანო — პატრიოტთა წარმატებანი

4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელი აგრესორებისა და მათი დამქაშების ფეხქვეშ იწვის ვიეტნამის მიწა. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ძალები კვლავ გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ მტერს ქვეყნის ყოველ კუთხეში.

კუანგჩის პროვინციაში, იუწყება განთავისუფლების პრესის სააგენტო, პატრიოტებმა ივლისში მთელი რიგი წარმატებული იერიშები მიიტანეს მტრის წინააღმდეგ.

10-დან 22 ივლისამდე მოწინააღმდეგემ ამ პროვინციაში დაკარგა 30 ჯარისკაცი და ოფიცერი, ორი სამხედრო მანქანა. საიგონის მარიონეტული რეჟიმის 14 ჯარისკაცი დაიხოცა საფარში, რომელიც პატრიოტებმა მოუწყვეს 17 ივლისს კონტუმის პროვინციაში.

კარიზი — უცვეცხლოდ კვამლი არ იქნება

4 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დღეებში პრესის ფურცლებზე და საინფორმაციო სააგენტოთა გადაცემებში გაჩნდა ცნობები პეკინსა და ტელ-ავივს შორის კონტაქტების შესახებ.

ლონდონის ყოველკვირეული „ობსერვერი“ წერდა, რომ ჩინეთმა მიმართა ისრაელს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

იერუსალიმიდან მიღებული ცნობებით, — აღნიშნავდა ყოველკვირეული, „ჩინეთის ამ ინიციატივას გულთბილად შეხვდნენ“.

ისრაელის გაზეთმა „მაარივმა“ გამოაქვეყნა საკუთარი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ ისრაელის პოლიტიკური მოღვაწე შეხვდა ჩინელ დიპლომატებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარიზის საელჩოში.

ლონდონის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გამოგზავნილ დეპეშაში აზუსტებდა, რომ ეს პოლიტიკური მოღვაწე იყო ისრაელის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლიდერი ელი ბენ-გალი, რომელიც სამ საათს ესაუბრა ჩინელ დიპლომატებს. იგი მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში შედის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა უარყო ეს ცნობა, აღნიშნავდა კორესპონდენტი, რადიოთი გამოსვლისას ბენ-გალმა დაადასტურა, რომ ასეთი შეხვედრა შედგა, ამასთან ჩინელ დიპლომატთა ინიციატივით.

ისრაელის მეორე გაზეთი „გაარეცი“ წერდა, რომ ისრაელ და ჩინელ დიპლომატთა კონტაქტებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

ისრაელის ხელმძღვანელი წრეები ჯიუტად ცდილობენ უარყონ ეს ცნობები, როგორც ფრანს პრესის სააგენტო იერუსალიმიდან იტყობინება, დღეს იქ გამოქვეყნდა კიდევ ერთი ცნობა, რომელშიც უარყოფილია ტელ-ავივისა და პეკინის კონტაქტები. მაგრამ ყველა ეს უარყოფა მხოლოდ ადასტურებს ცნობილ ანდაზას: უცვეცხლოდ კვამლი არ იქნება.

კარო — ტრიბუნალის განაჩენები

4 აგვისტო. (საკდესი). როგორც დამასკოდან იუწყებიან, სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების უმაღლესმა ტრიბუნალმა დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის 5 ყოფილ ლიდერს.

როგორც მენის საგაზეთო იტყობინება, სიკვდილმისჯილთა შორის არიან სირიის საპრეზიდენტო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამინ ჰაფეზი და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ყოფილი გენერალური მდივნები მიშელ აფლაკი და შიბლი ალ-აისამი.

ყველა ისინი უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობენ სირიის ფარგლებს გარეთ მეზობელ არაბულ ქვეყნებში, კერძოდ, ირაყში.

ტრიბუნალმა განიხილა ბგრეთვე სხვა ბრალდებულთა საქმეები. მათ შორის 45 კაცს მიესაჯა სხვადასხვა ვადის პატიმრობა. უმრავლესობას განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს, ბრალდებულთა ნაწილი გაამართლეს.

როგორც აღნიშნულია ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში, მისჯილებმა თავი დამნაშავედ ცნეს სირიაში ამჟამად არსებული რეჟიმის დამხობის ცდაში. სირიის არაბთა რესპუბლიკის უმაღლესმა ტრიბუნალმა გამოაცხადა, რომ ისინი ეკუთვნიან არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის მემარჯვენე ფრთას. ამ საქმის მოსმენა გრძელდებოდა დაახლოებით ერთ წელს და დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა.

ჯაპონია — ჯარიზის ცენტრში

3 აგვისტო. ჯარიზელები „ჭალაქის აკვანს“ უწოდებენ კუნძულ სიტას. აქედან იწყებენ კილომეტრების ჯადათვლას ის გზები, საფრანგეთის დედაქალაქიდან ყოველი მიმართულებით რომ მიდიან. აქედან დაიწყო მისი ისტორიაც. არქეოლოგებისთვის კუნძული სიტა, უწინარეს ყოვლისა, ძველი ლუტეციის (ასე ეწოდებოდა პარიზს ძველი რომის დროს) უზარმაზარი და ამოუწურავი საგანძურია, იმ ახალ აღმოჩენათა წყაროა, რომელიც თანდათან სპობს თეთრ ლაქებს პარიზის მატიანეში.

პირველი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში მოხდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ფასადის პირდაპირ, წმიდა იერეინის ძველი ეკლესიის საძირკვლში.

ეს ეკლესია ფრანგთა მეფეების შერინგიების ეპოქაშია აგებული. ეგბგმაზომიერი ჯათხრები ჭალაქის ამ რაიონში შედარებით გვიან დაიწყო. ეს შესაძლებელი ყოფილა, — პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, — მას შემდეგ, რაც დამტკიცდა კუნძულში დიდი მიწისქვეშა ჯარიანის მშენებლობა. საჭირო ყოფილა ელექტრალური მოედნის ჯათხრა. ბნეგმატური ჩაქუჩის ხმაურმა მაშინვე არქეოლოგებიც მოიზიდა.

შედეგები მალე გამოჩნდა. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი პარიზის დაცვის კომისიის სხდომას ანგარიშს ამბარებდა იმის შესახებ, რომ ჯათხრილი კედლის ნაწილი არის ჯამაგრძელი ციხე-სიმაგრის კედელი, რომლის მეშვეობით ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ლუტეციის მცხოვრებნი ცდილობდნენ თავი დაეცვათ ჯერმანელთა ტომების შემოსვლისაგან.

ამის შემდეგ ჯათხრები ინტენსიურად წარიმართა და სულ ახლა-ახლა ცნობებს იძლევა.

ამას წინათ არქეოლოგებმა მიაკვლიეს რომის იმპერიის დროინდელი ქალაქის კედლის კიდევ ერთ ნაწილს და მისჯან 4 მეტრის დაშორებით აღმოაჩინეს დიდი შენობის საძირკველი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის შუა წლებს — იმპერატორ იულიანეს ეპოქას განეკუთვნება.

საძირკვლის 80 სანტიმეტრიანი სისქის ქვის კედლების სიმაღლე ოთხ მეტრს აღწევს. როგორც ჩანს, ეს საძირკველი კუნძულის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობის — ბაზილიკის საფუძველს წარმოადგენდა. ხანძარმა, რომელიც II საუკუნის ბოლოს მოხდა, სიტას ბევრი ნაგებობა გაანადგურა, და სწორედ ბაზილიკი ასლოს დაიწყო.

არქეოლოგების აღმოჩენებმა წინა პლანზე წამოსწიეს საკითხი, თუ როგორ შეინარჩუნონ ეს უძველესი არქეოლოგიური ანსამბლი, არ მისცენ საშუალება დაიმარხოს იგი თანამედროვე ქალაქის ქვეშ.

ამისათვის ფიქრობენ გამოიყენონ არქეოლოგიური ფენა მის თავზე მყოფი გარაჟისგან ბეტონის ფილებით და დაკოვონ სპეციალური საქარი „ფანჯრები“ და „კორიდორები“ ტურისტებისა და სტუმრებისათვის.

ხაკდესი.

ბელგია — ძიებები, აღმოჩენები

□

გათხრები პარიზის ცენტრში

ვიეტნამი — ფაქტები

4. აგვისტო. (საკდესი). ცნობილი ხდება ვიეტნამის მიწა-წყალზე იანკეების დანაშაულის ახალ-ახალი ფაქტები.

ყოფილმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ, ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მონაწილემ ბარტონ ოსბორნმა წარმომადგენელთა პალატის საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციებისა და მთავრობის ინფორმაციის ქვეკომისიის აცნობა, „არც ერთი რამდენიმე ასეული ეჭვმიტანილიდან“, რომლებიც ჩემს თვალწინ დაუპატიმრა და საპყრობილეში გამოამწყვდია ამერიკის დაზვერვამ, „იქიდან ცოცხალი არ გამოსულა“.

„ეჭვმიტანილთა“ წამება, მხეცური ტანჯვა, ოსბორნის სიტყვით, ნორმად იქცა „ფენიქსის“ — სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განთავისუფლებელ ძალებთან ბრძოლის ამ ბარბაროსული გეგმის განხორციელების დროს.

ოსბორნის თვალწინ საზღვაო ქვეითმა ჯარისკაცებმა ვერტმფრენიდან გადააგდეს ორი ვიეტნამელი, რათა „აელაპარაკებინათ დანარჩენი დაპატიმრებულნი“. მეორე დაპატიმრებულს აწამებდნენ იმით, რომ ეძებენ „ტერორისტულ“ ორგანიზაციებსა და მათი იარაღის მარაგს.

ინგლისელი ჯარისკაცების თარეში ამ „სამხედრო ოპერაციების“ დროს დიდ აღშფოთებას იწვევს ოლსტერში. ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის წევრმა პატრიკ დევლინმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ჯარისკაცებმა სცემეს ორ ჩრდილოეთ ირლანდიელ ქალს, რომლებიც იცავდნენ თავიანთ შვილებს.

აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ჩხრეკა-დაპატიმრებანი ეწყობა მხოლოდ კათოლიკურ რაიონებში და არ ეხება პროტესტანტების უბნებს.

ინდოჩინეთი — ბრძოლა

4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელ აგრესორებისა და მათი დამქაშების ფეხქვეშ იწვის ვიეტნამის მიწა. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ძალები კვლავ გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ მტერს ქვეყნის ყოველ კუთხეში.

კუანგჩის პროვინციაში, იუწყება განთავისუფლების პრესის სააგენტო, პატრიოტებმა ივლისში მეტრის წინააღმდეგ.

10-დან 22 ივლისამდე მოწინააღმდეგემ ამ პროვინციაში დაკარგა 30 ჯარისკაცი და ოფიცერი, ორი სამხედრო მანქანა. საიგონის მარიონეტული რეჟიმის 14 ჯარისკაცი დაიხოცა საფარში, რომელიც პატრიოტებმა მოუწყვეს 17 ივლისს კონტუმის პროვინციაში.

ამერიკა — ფაქტები ამხილებენ

ინდოჩინეთი — ბრძოლა

ინდონეზია — ბრძოლა

ინდონეზია — ბრძოლა

ინდონეზია

კინოფესტივალის ჯილდოები

ᲛᲔ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ გაზეთადან მოსკოვის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის შედეგები.

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსში ოქროს პრიზები მიენიჭათ კინოსურათებს „პოლიციის კომისრის აღიარება რესპუბლიკის პროკურორის წინაშე“. (იტალია, რეჟისორი დ. დამიანი), „დღეს ვიცოცხლოთ, ხვალ დავიხოცოთ“ (იაპონია, რეჟისორი დ. სინდო), „შავნიშნიანი თეთრი ფრინველი“ (სსრ კავშირი, რეჟისორი ი. ილიენკო), აგრეთვე პოლონელ რეჟისორს ა. ვაიდას რეჟისურისათვის.

სპეციალური პრიზები მიენიჭათ ფილმებს „გოია“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელშიც ალნიშნულია დ. ბანიონისის მიერ მთავარი როლის შესრულება, და „წყლის დღეები“ (კუბა).

ვერცხლის პრიზები მიიღეს ფილმებმა „ემიტაი“ (სენეგალი), „გასაღები“ (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა) — ანტიფაშისტური ბრძოლის თემის დამუშავებისათვის, „ოჯახში“ (ბრაზილია) — ნაწარმოების ცენტრალური სახეების დიდი ადამიანურობისათვის.

ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ კონკურსში პრიზები მიენიჭა ფილმს „ინჯელა დევისი — რევოლუციონერის პორტრეტი“, რევოლუციური გმირობის მართალი, მეტყველი ჩვენებისათვის; ფილმებს „ფოლადის კედელი — ვინლინი“ (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა) და „მონადირეები დაკ-შოს მთებში“ (სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა) — ვიეტნამელი ხალხის გმირობისა და აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ერთობის ამაღლებული ჩვენებისათვის. აღინიშნა ოპერატორთა ჯგუფის თავდადებული შრომა.

პრიზები მიენიჭათ: ფილმს „როგორ, რისთვის და რატომ მოკლეს გენერალი“ (კუბა) — სოციალური პროგრესის მოწინააღმდეგეთა დამაჯერებელი, მგზნებარე მხილებისათვის; ფილმს „თავისუფლების მცხუნვარე ჭარი“ (სსრ კავშირი) —უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლი დაფარის ხალხის გმირობის ნიჭიერად გაშუქებისათვის; ფილმს „მხოლოდ დასაწყისი“ (მექიკის შეერთებული შტატები) — ინდოჩინეთის მიწაწყალზე აგრესორთა ბოროტმოქმედებისა და ამერიკის არმიის ყოფილ ჯარისკაცთა საპროტესტო მოძრაობის შესახებ.

ეიფრის სამი სპეციალური პრიზი მიენიჭა ფილმებს „ოთხი მგალობელი ავიტაციისათვის“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), „ხვალინდელი დღე ჩვენია“ (იაპონია), „ინტერნაციონალი“ (სსრ კავშირი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ კონკურსში ოქროს პრიზი მიენიჭა ფილმს „ყურადღება, კუბა!“ (სსრ კავშირი). ვერცხლის პრიზები მიიღეს ფილმებმა „ზღარბები უეცლებოდ იბადებიან“ (ბულგარეთი), „ბელი, შენი ძმა“ (პოლონეთი) და „ტონმეილი ტორა“ (იაპონია).

ეიურის სპეციალური პრიზი მიიღეს ფილმებმა „ბაუ, პატარავ!“ (უნგრეთი), „ბეტარის პოტერის ზღაპრები“ (დიდი ბრიტანეთი) და „კეთილი რაინდი“ (ამერიკის შეერთებული შტატები).

ფიპრესის (კინოპრესის საერთაშორისო ორგანიზაციის) ეიურომ თავისი პრიზი მიანიჭა კუბურ ფილმს — „წყლის დღეები“.

უნიკეიკის (ტექნიკური კინემატოგრაფიული ასოციაციების საერთაშორისო კავშირის) ეიურომ პრიზი მიანიჭა კინოფილმს „ბიხაი მამაცი“ (რუმინეთი) — ნაწარმოების მაღალი ტექნიკური ხარისხისათვის.

• • •

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ საკონკურსო და კონკურსგარეშე ფილმების მრავალფეროვნება, ჩვენის აზრით, მე-7 საერთაშორისო კინოდათვალიერების ერთერთი ძირითადი ღირსება, — უთხრა საკლესის კორესპონდენტს მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ საბჭოთა რეჟისორმა გრიგორ კოზინცევმა. — ამ მრავალფეროვნებას ვხედავ არა მარტო მრავალ კინემატოგრაფიულ მიმართულებასა და შემოქმედთა ინდივიდუალ ობაში, არამედ, და ეს მთავარია, ხალხთა ცხოვრების სხვადასხვა მხარის სიმარცლით ასახვაში. ამ თვალსაზრისით ფესტივალის შეგვიძლია ვუწოდოთ მსოფლიოს რუკა ეკრანზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიგრძნოთ, თუ რით ცხოვრობს და რას ესწრაფვის დღეს კაცობრობა. (საკლესი).

□ □

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა მოსკოვის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალზე დაიწესეს მთელი რიგი პრიზები და დიპლომები. 3 აგვისტოს ცნობილი გახდნენ ამ ჯილდოების მფლობელნი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალური პრიზით აღინიშნა რეჟისორ ჰ. ბარტლეტის ფილმი „ქვიშის კარიერის გენერლები“ (ამერიკის შეერთებული შტატები), სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სახელოვნო პრიზები მიენიჭა რეჟისორ მ. კარნეს (საფრანგეთი) ფილმისათვის „მკვლელები წესრიგის სახელით“ და დამსახურებისათვის კინოხელოვნების განვითარებაში; რეჟისორ ს. პოლაკს (ამერიკის შეერთებული შტატები) ფილმისათვის „ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხომ კლავენ?“

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პრიზი გადაეცა ფილმს „ტოოტის ოჯახი“ (უნგრეთი). საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა პრიზები მიანიჭა ფილმს „ფელადი“ (ტუნისი); რეჟისორ ე. პეტრის (იტალია) ფილმისათვის „გამოიძიება ეჭვმიუტანელი მოქალაქის საქმის გამო“; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოპუბლიცისტებს ვ. შოიმანსა და ტ. ჰაინოვსკის; ბრაგინსკის კინოსტუდიის (ბელორუსიაგაკის სოციალისტური რესპუბლიკა) ფილმს „სლავინი“.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა ჯილდო მიანიჭა ფილმს „ადამიანები ნალოსზე“ (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა). საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის პრიზებს იღებენ ფილმი „ქესელი და ელინა“ (ფინეთი); ფილმი „პატარა დიდი ადამიანი“ — რეჟისორი ა. პენნი. საბჭოთა კავშირის აზიაფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტი თავის პრიზებს გადასცემს ფილმებს „საგინა მაჰატო“ (ინდოეთი) და „ემიტაი“ (სენეგალი).

სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა პრიზები მიანიჭა ფილმებს „გოიას“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და „ბეტარის პოტერის ზღაპრებს“ (დიდი ბრიტანეთი) მხატვრული სახვითი გადაწყვეტისათვის.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრიზი გადაეცემა ფილმს „ღარიბები უფრო ადრე იზოცებიან“ (იტალია), სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პრიზი — ფილმს „სახელოვნო ტყავი“ (საფრანგეთი).

სსრ კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციების ჯომატემმა პრიზით აღინიშნა ჩიელელ ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი ფილმების პროგრამა, რომლებიც შექმნა რუმინელ ავტორთა ჯგუფმა. სპორტული კინოს ფედერაციამ პრიზი მიანიჭა ფილმს „დიდი სპორტი პატარა ნავებით“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ფილმების დიდი ჯგუფი აღინიშნა სსრ კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დიპლომებით.

კადრები საბჭოთა ფილმებიდან „შავნიშნიანი თეთრი ფრინველი“ (მარცხნივ) და „ყურადღება, კუბა!“, რომლებსაც მოსკოვის VII საერთაშორისო კინოფესტივალზე ოქროს პრიზები მიენიჭა.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ

ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲓᲐᲜᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 1815 წელს გამოქვეყნდა „ქართველი ახუნარის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში“. დანიბეგაშვილი ინდოეთში ქართლ-კახეთის სამეფომ გაგზავნა დიპლომატიური დავალებით. იქ მან 18 წელი დაჰყო, აღწერა თავისი მოგზაურობა დიდი ოსტატობით, მაგრამ როცა დაბრუნდა, თავისი მოგზაურობის ანგარიში წარმოადგინა არა თბილისში, არამედ მოსკოვში. დანიბეგაშვილის ამგვარ საქციელს, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი საფუძველი ჰქონდა. ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში მისი ხანგრძლივი მოგზაურობის პერიოდში უდიდესი ცვლილებები მოხდა. სამეფოს მწიფომ, რომელმაც დანიბეგაშვილი წარგზავნა, დამოუკიდებლობა დაკარგა, საქართველო მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენელ გუბერნიად იქცა. ამიტომ რაფიელ დანიბეგაშვილი ინდოეთიდან საშობლოში კი არ დაბრუნებულა, არამედ ეახლა რუსეთის იმპერატორს 1813 წელს მოსკოვში, სადაც მისი „მოგზაურობა ინდოეთში“ ავტორის მონაწილეობითვე თარგმნეს ქართულიდან რუსულად და გამოსცეს. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. დაიკარგა მოგზაურობის ქართული ავტოგრაფი. დანიბეგაშვილი თითქმის დავიწყებას მიეცა. იშვიათად თუ იხსენებდნენ მის ამაგს. მაგრამ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების შემდეგ დანიბეგაშვილის მოგზაურობისადმი ინტერესი ხელახლა გაძლიერდა და გაღრმავდა.

ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდი ისტორია აქვს. იგი ჯერ კიდევ ჩვენ ერამდე დაიწყო და ბევრად უსწრებდა წინ რუსეთ-ინდოეთის ურთიერთობას. მეფე ერეკლეს დროს კი ურთიერთობა გრძელდებოდა და ღრმავდებოდა. თვით ერეკლემ ჭაბუკობაშივე მოვლო ინდოეთი; ხოლო XVIII საუკუნის 70-იან წლებიდან სისტემატურად გზავნიდა იქ თავის მისანდო დანიბეგაშვილთ, — ჯერ მამას, იოსებს, ხოლო შემდეგ მის შვილს, რაფიელს. მაგალითად, 1775 და 1786 წლებს ინდოეთში გაგზავნა იოსებ დანიბეგაშვილი, პირველად თითქმა შამირ-აღასთვის ლორეს წყალობის, ხოლო მეორედ იმავე შამირ-აღასთვის ქართველი თავადის წოდების წყალობათა წიგნის გადასაცემად. ამ უკანასკნელიდან ისიც ჩანს, თუ რისთვის აჯილდოებდა მეფე შამირ-აღას: — ეს იყო „მრავალგვარი სამსახური სამეფოს ერთგულებითა და სასარგებლო ცნობების მიწოდებით“. ე. ი. უთიერთობა და მოგზაურობანი პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის ჭ. გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატი დაიდო, რუსული და ქართული დიპლომატია ერთობლივად მოქმედებდნენ. შავ ზღვაზე, ყირიმსა და კავკასიაში ფეოდმოკიდებულ რუსეთის იმპერიის ლტოლვა აზიის ქვეყნებში ბავლენის მოპოვებისათვის უფრო გაიზარდა. იგი ამიერიდან ინგლისსაც კი დაუპირისპირდა. თურქეთთან რუსეთის წინააღმდეგობა კი ღრმავდებოდა, რაც 1787-1791 წწ. ომში გადაიზარდა. ამ ომის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად რუსეთი, როცა ომის დაწყების წინ, თურქეთის მოთხოვნით, საქართველოდან ჯარი გაიყვანა. მეფე ერეკლე და მთელი სამეფო დიდი საშიშროების წინაშე დადგა. ერეკლე 1785 წელს ეგვიპტეში, ხოლო 1786 წელს ინდოეთში ბაზების თავის მისანდო პირებს — არტილერიის პორუჩიკის მაქსიმე კაჭკაჭიშვილისა და იოსებ დანიბეგაშვილის სახით.

ინდოეთში შამირ-აღას მეფე ერეკლე იოსების ხელით თავადობის წყალობის წიგნს უგზავნის, ხოლო ეგვიპტეში წერილს წერს თურქეთის წინააღმდეგ აღმდგარ უგალენიანეს პირთ, — ქართველ მამლუქებს, ზეიბ-ელბეკად იბრეიმ ბეგს (შინჯიკაშვილი) და სულეიმან-აღა ანაფს (კანუტაშვილს). ჩვენ ვიცნობთ დასახელებულ მამლუქთა სპასუხო წერილებს (მოვაკლეიან მოსკოვის არქივში) მეფე ერეკლესადმი და მოხსენებით ბარათს კაჭკაჭიშვილისა გრ. პოტიომკინის სახელზე (1787 წელს). შექმნილ ისტორიულ ვითარებაში ისინი შუქს ფენენ როგორც საქართველოს ენერგიულ დიპლომატიურ ცდებს თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ, ისე რუსეთის მეთაურობით ანტითურქული ძალების კონსოლიდაციას. რუსული და ქართული დიპლომატია აქ ერთ მიზანს ემსახურება და შეერთებული ძალებით მოქმედებენ, როგორც ამას 1783 წლის ტრაქტატი მოითხოვდა. ამას ბესიკის დიპლომატური მოღვაწეობაც კარგად ადასტურებს. შემთხვევითი არ არის, რომ კაჭკაჭიშვილი პოტიომკინს უდგენს ანგარიშს წინადადებებითაო, (რომელიც რუსეთის არქივებში აღმოჩნდა) ეგვიპტიდან მეფე ერეკლეს სახელზე მამლუქთაგან გამოგზავნილ ჭართულ წერილებთან ერთად. ამის შემდეგ ორგზის იმოგზაურა რაფიელმა ინდოეთში.

რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში რთულ ისტორიულ პირობებს დაემთხვა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა ეს არის ნაპოლეონის ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის, სპარსეთის გამოლაშქრება საქართველოზე, საქართველოს რუსეთთან მეგობრება, პეტერბურგში სასახლის გადატრიალება, ინგლისის ბრძოლა ინდოეთში გაბატონებისათვის, ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში და სხვ; დანიბეგაშვილი კარგად ამჩნევს და გულისყურითაც აღწერს ყოველივე ამას, რაც ინდოეთში ხდება ინგლისელ კოლონიზატორთა თარეშით. ავტორის მთელი სიმპატიები ინდოელი ხალხის მხარეზეა. დანიბეგაშვილის მოგზაურობისადმი ცხოველმყოფელი ინტერესი ჩვენს პირობებში საყოველთაო ხასიათის მოვლენად იქცა. კოლონიური სისტემის რღვევასა და აზიისა და აფრიკის ხალხების დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში მან ახალი შინაარსი შეიძინა; ამდენად მას როდი აქვს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. რაფიელ დანიბეგაშვილი აზიის ქვეყნების დიდი ქართველი მოგზაური და მკვლევარია, რომლის სახელი და მემკვიდრეობა ბევრად გასცდა ჩვენი საშობლოს ფარგლებს.

რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა ამ ბოლო ხანებში ხუთჯერ გამოიცა, იგი ბრაგალ ენაზე ითარგმნა.

მოგზაურობის ტექსტი რუსულიდან ქართულად თარგმნა და 1950 წელს წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ცნობილმა მეცნიერმა ს. იორდანიშვილმა. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა ახალი დოკუმენტები, რომლებიც შუქს ჰფენენ რუსეთში დამკვიდრებული რაფიელ დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად საყურადღებო ზოგიერთ მოვლენას; მაგალითად, მის ორგზის— მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის ინდოეთში (1815-1820 წწ. და 1822-1827 წწ) და სხვ; ორენბურგის და სემიპალატინსკის არქივებში აღმოჩნდა მასალები დანიბეგაშვილის ინდოეთში ამ მორიგ მოგზაურობათა შესახებ. ეს ხდება რუსეთში მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში. ამ მოგზაურობათა მიზნები კი კარგად ჩანს გ. ნენსის ჩანაწერებიდან.

დიდი ამაგი დასდო დანიბეგაშვილის მოგზაურობის ტექსტის მეცნიერული პუბლიკაციის, ავტორის ბიოგრაფიის აღდგენისა და პოპულარიზაციის საქმეს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა ლ. მარუაშვილმა. მან ჯერ რუსულ ენაზე 1961 წელს, რუსულ და ქართულ ენებზე 1963 წელს, ხოლო 1970 წელს რუსულ, ინგლისურ ენებზე მოსკოვში გამოსცა დანიბეგაშვილის მოგზაურობა შესავლით, კომენტარითა და დანართებით.

მიმდინარე 1971 წელს პროფესორმა გ. ზარდალიშვილმა დანიბეგაშვილის მოგზაურობა—„ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში“ ხელახლა გამოსცა. იგი რიგით მართალია მეექვსე გამოცემაა, მაგრამ მას საკმაო სიახლე ანლავს. ამ ახალ ქართულ გამოცემაში მკითხველი დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საყურადღებო მასალებსა და ფაქტებს ხვდება. პროფესორ გ. ზარდალიშვილს ახლად უთარგმნია ტექსტი 1815 წლის გამოცემიდან და მასში ზოგიერთი შესწორებაც შეუტანია, დაუზუსტებია ზოგი გეოგრაფიული სახელი და სხვ. ამ საქმეში მისთვის დიდი დახმარება გაუწევია ინდოეთის ქ. პატნას უნივერსიტეტის პროფესორს პ. დაკალის, ასევე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას მისთვის ქ. ორენბურგში მიფილნებით და რ. დანიბეგაშვილის შესახებ ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალების შესწავლისა და ფოტოპირების გადაღებისათვის. ახალ გამოცემაში შეტანილია ასევე დანიბეგაშვილის მეოთხე და მეხუთე მოგზაურობათა ანგარიშები და სხვა დოკუმენტები დანართის სახით. მოყვანილია ფოტოპირი დანიბეგაშვილის ხელოვნისა რუსულ და ქართულ ენებზე, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე, დანიბეგაშვილის მიერ ყალმუხეთთან-გან ჩამორთმეულ ფიცის (1820 წლის 3 აგვისტო) წიგნისა არაბულად, რომელსაც ხელს აწერენ ბიები და მოლები, ასევე გ. ნენსის ჩანაწერები დანიბეგაშვილის ინდოეთში მეხუთედ (1822-1827 წლებში) მოგზაურობისა და სხვ., რომელთაც ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა. ამასთანავე ადრე გამოქვეყნებულ სიგელ-გუჯრების გარდა პირველად ქვეყნდება ქართული ენაზე მეფე ერეკლე II-ის სიგელი 1786 წ. 22 მარტის თარიღით შამირ-აღასთვის, თავადობის ბოძებაზე, გარკვეულია ტერ-დავითის ფრანგული, რომელიც, რაფიელმა ჩამოსა ინდოეთი, ფაზავარ-ბეგის, ბაზავარ-ბეგის წინ და სხვ. ეფუცმას; ერთვის ერეკლეს შენიშვნები, ბარიგი ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, დანიბეგაშვილის ბიოგრაფიასა და მოგზაურობის მარშრუტებზე რუკებითურთ და სხვ. გ. ზარდალიშვილმა სცადა რ. დანიბეგაშვილის ნამდვილი გვარის (მაჩაბელი) აღდგენა და სხვ.

ამრიგად, რ. დანიბეგაშვილის ამ ახალი გამოცემით გ. ზარდალიშვილმა კარგი საქმე გააკეთა. თუმცა კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მომავალშიც დიდ ამოცანებს გვიისახავს როგორც მოგზაურობის ქართული დედნის მიკვლევის, ისე მისი ავტორის მეცნიერული მოღვაწეობისა და ბიოგრაფიის აღდგენის საქმეში. დღემდე შეუსწავლელია ოსტინდოეთის კომპანიათა, რუსეთის, სომხეთის და სხვა არქივები. ჩვენ დღეს, აქამდე, დანიბეგაშვილის დამდგომისა და გარდაცვალების თარიღებიც კი არ ვიცით... ამასთანავე გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

ავტორი, მარალია, თავის ახალ გამოცემას დანიბეგაშვილის 1815 წ. გამოცემულ რუსული ტექსტის ახალ თარგმანს უდებს საფუძვლად და ამაზე ამყარებს თავის ახალ კომენტარს, მაგრამ იმის გამო, რომ რუსული ტექსტი მოგზაურობისა (ამ შემთხვევაში დედანი) გამოცემაში წარმოდგენილი არ არის, მკითხველს უძნელდება მისი გზადაგზა შეჯარება. სასურველი იყო რუსული ტექსტი თან დართვოდა ამ გამოცემას. გამოცემაში სასურველი იყო ასევე დანართი და სიგელ-გუჯრები ჭრონოლოგიურ თანმიმდევრობით დაბეჭდილიყო. ნენსი არ არის დაზუსტებული ზოგიერთი კორეტტურული შეცდომისა და სტილისტურ უხუხტობათაგან. მაგრამ ისინი ნაკლებად ამცირებენ გამოცემის ღირსებას. რ. დანიბეგაშვილის ახალი გამოცემით „საბჭოთა საქართველომ“ კარგი საქმე გაკეთა.

პროფესორი

Ა. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ,

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲗ

ᲓᲠᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲩᲝᲠᲜᲘ

მწერალმა ბორის ჩორნიმ დაამთავრა წიგნი „დროთა კავშირი“ — (ანა ანტონოვსკაიას ცხოვრება და შემოქმედება). წიგნი არ მოიცავს მწერალი ქალის ცხოვრების მთელ ამბავს. მოქმედება ხდება ძირითადად თბილისსა და პეტროგრადში 1917-1918 წლებში.

ავტორის მთავარი მიზანია გვიჩვენოს, როგორ ყალიბდებოდა ანტონოვსკაიას მსოფლმხედველობა თბილისში, რამ მიიყვანა მწერალი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეეკვნა რომანი-ეპოპეა „დიდი მოურავი“.

„დროთა კავშირი“ იბეჭდება ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ და მიღებულია გამოსაცემად „მერანში“.

ნაწყვეტებში, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ, აღწერილია ანა ანტონოვსკაიას მონაწილეობა დემოკრატიულ მოძრაობაში ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე და გურმანელ ოკუპანტთა ჯარების შემოსვლა თბილისში, რისი მოწმეც მწერალი ქალი გახდა.

ᲠᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲖᲘᲐ!

ᲐᲜᲐ ანტონოვსკაიას აფორიზმები უკვარდა. რომან-ეპოპეის „დიდი მოურავის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია აფორისტულობა. აფორიზმი „ბედნიერია, ვისაც გული სამშობლოსათვის უძგერს“ მკითხველმა სიყვარულით მიიღო. ბევრმა ეს გამოთქმა გიორგი სააკაძეს მიაწერა. წიგნში „გენერალი ლესელიძე“ პეიელსკენ ფურცელზე ეს აფორიზმი გიორგი სააკაძის სახელით არის დამოწმებული. ამგვე აფორიზმს მიაქცევ ყურადღება წარსულში და ანა ანტონოვსკაიასთან საუბარში: „ბედნიერია, ვისაც გული სამშობლოსათვის უძგერსო“.

არანაკლებ მეტყველია რომან-ეპოპეის სხვა აფორიზმები, რომლებიც გამოხატავენ აღმოსავლეთთა განსაკუთრებულ აზრთა მსვლელობას, მიმართულებას, ზნესა და ბუნებას, მათს ფილოსოფიურობას, ხასიათის თვისებებს, ნაწილობრივ ფატალიზმს. „ყოველ მართლმოწმუნეს თავისი ბედი საკუთარ კისერზე კიდიაო“, — ამბობენ სხვადასხვა. გარეშეობანი — „ბედი მოურავის“ პერსონაჟები — ხანები. ხშირად დაუმოწმებია ეს აფორიზმი თვითონ. ანა ანტონოვსკაიას.

ბედის ნიბაკი ასეთი აღმოჩნდა: ყოველ „მართლმორწმუნეს“ თავისი ბედი კისერზე კიდია, გამონაკლისი არც ჩვენი მწერალი აღმოჩნდა. 1917 წელს თბილისში დარჩა და მოწმე გახდა არა მარტო გერმანელი ოკუპანტების, შემდეგ კი ინგლისელი ინტერვენტების შემოჭრისა, არამედ ქართველი ხალხის ფედგარი წინააღმდეგობისაც — საკაძის შთამომავალთა მამაცმა თაობამ არ ისურვა არც საკუთარ მონაპოვართა მსხვერპლად შეწირვა, არც მეოცე საუკუნის კონკისტადორთა გაშვება „ახალი გზების“ გასაკაფავად მოგვიის ძველი ყარაულებისაკენ: ერთნი რომ აფშერონის შავ ოქროს ეტანებოდნენ, მეორენი სილა აწყდებოდნენ ჯუტის, კაუჩუკის, ინდოეთის სპილოს ძვლისა და, ვინ იცის, კიდევ საიდან?!

გლეხთა ამაღლების სამი წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის გამორჩეული მონაკვეთია. ლეჩხუმი! ცხინვალი! დუშეთი! მათი წინააღმდეგობის ქარშხალმა „დიდი მოურავის“ ფურცლებსაც გადაუქროლა. შუბის მჭეველი ავაზის სასიანმა დროშამ ნიჩბისის ტყის მამაცი რაზმელები შეიკრიბა თურქეთის სულთნის ურდოებსა და სეფეკიდების ირანულ კოპორტებს. თანამედროვეობა წარსულში და წარსული თანამედროვეობაში, ასე უკრავდა მოვლენებს ანა ანტონოვსკაია, ეს საუკუნეთა და შემართებათა სინთეზია...

შადიმან ბარათაშვილის ვერაგული თავდასხმა ნოსტაზეზე, გიორგი საააკაძის ციხე-სიმაგრეზე, მისი დარბევა-აწიოკება თითქმის ზუსტად განმეორდა ამირერ-კეკაასიის ზოგიერთ ლიდერთა, „ოკიანის კანცლერის“ ნიჭიერ მოწაფეთა მოქმედებაში.

1918 წლის სისხლიანი ეპიზოდები ანა ანტონოვსკაიას ცნობიერებაში საოცრად და უნებურად დაუკავშირდნენ 1905 წლის მსგავს ეპიზოდებს, რომელთა უშუალო მონაწილეც ის იყო. ბრძოლის სიმხურვალეშ, იგონებს ის მწერალი ქალი, უმაღლეს წერტილს მიაღწია ფაზანქარეტის ბაღაზე. „ოფიცესი უარყოფდა კომპრომისებს. თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს. თუ ბარიკადებია, კონკის ჯაგნები ეი ანა, აყირავებული ცის თაღი იყოსო! თუ ქუჩის ბრძოლაა, ცეცხლიც გაჩაღდეს, ავლაბრელთან შიგ კაკალ გულში ჩასცხონ ერთიმეორეს!

გოლოვინის პროსპექტისა და ბარიატინსკის დაღმართის კუთხეში, იქ, სადაც ახლა სასტუმრო „თბილისია“, იდგა სასლი, რომელიც კრიჭაში ედგა პოლიციას. მის პირდაპირ მწვანე ფარიანი ვაწლიელიოო ალექსანდრეს ბაღი, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ბაღი, ამჟამად კომუნარების სახელობისა.

„სამტრო ჭარიშხლები დაპჭრიან ჩვენს თავზე....“

ვარშაველი სიმღერა ატაფრთოვანებდა დემონსტრანტებს, ჯიქურ მიდიოდნენ სტუდენტებს შორის, ყველანი მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი წარმომადგენლები იყვნენ... მეთამბაჩოე მუშებს შორის, გიმნაზიის უფროსკლასელთა შორის მიდიოდა ანა ანტონოვსკაია. ვერა თვედრეს ასულ კომისარეკვლაკიას თოლია თბილისშიც ჩამოფრენილიყო და მისი ძახილი სულს უფორიაქებდა რომანისტ ქალს. მაგრამ ანა ანტონოვსკაიას თოლია არა ეკავა იმას, ჩეხოვის დრამაში რომ ტკვიით უმასპინძლდებიან, უფრო მსგავსი ორეულია, ნათელი იდეალების რომანტიკულ შუქზე რომ ციცხლს ეთამაშება.

„ჩვენ ბნელი ძალების ბორკილად
გვთელავენ...“

სულიერი მღელვარება, რაც ცხრამეტი წლის ანა ანტონოვსკაიამ გამოსცადა, რაიმე ახალი და უჩვეულო არ ყოფილა არც მისთვის, არც სხვისთვის. დროის აკუმულატორი ისეთი ძალიერ ენერგიით მუხტავდა მთელ მოწინავე ახალგაზრდობას, როგორც ტირანთა მეუფეების ეამს ხდება ხოლმე, ყველა მზად იყო თავდაყირა გადაეტრიალებინათ ყველაფერი, რაც საუკუნოდ, ურყევად და სიბრძნის მწვერვალად იყო მიჩნეული; მზად იყვნენ თვით აშმორრბული იმპერიის უზენაეს ძალაუფლებაზე აღემართათ ხელი, ღვთაებრივ ჩამომავლობას რომ იჩემებდა. თუ ღმერთი არასრულყოფილი კერპებს ქმნის, მაშ თვითონ ღმერთი არასრულყოფილია.

„ჩვენ არ გვინდა კერპი, ოქროსიც
რომ იყოს...“

მარსელიოზის ყოველი სიტყვა ტყვიის გასროლას ჰგავდა, გამოწვევა იყო, სადეელო ხელთათმანი, რომელსაც ეს-როდნენ ძველ სამყაროს კუშტ სახეში, რომლის ნაკვეთსაც ამაოდ ისწორებდა და ფერუმარლით იკოსტავებდა გადაყრეტილი ჩლუნგი ბეგარი, ოქროს ჯოხზე დაყრდნობილი მოძალადე.

„ჩვენ გვძულს ჩაგვრის ბურჯი
—სრა-სასახლი მეფის...“

„თბილისის ახალგაზრდობას, — მოგვითხრობს ანა არნოლდის ასული, — იმ ოქტომბრის დღეს ყველაფერი უჩვეულოდ, ამაყად ეჭიზეობდა. ალეკსანდრეს ბაღი იყო თანამოკაშკრი, გოლოვინის პროსპექტი — მეგობარი. სასეგის ნათელი ღიმილი ეფინებოდათ, ჭრიდნობები ადიდებულ მდინარესავით მოზღვავებულიყვნენ, ეს იყო მშვენიერი, ნათელი, ძლიერი, წარმტაცი როგორც რეპინის სურათზე. ბახსოვთ? „რა ფარო ასპარეზია!“

კუთხის სახლთან, პოლიციას რომ თითქოს კრიჭაში ედგა, დემონსტრანტებს ანდაზარმის ნაზარეთ ბალდადრმეს ფითელი აქსელბანტები ქმნიდათ, საგდებელის მსგავსი, კალის ბოლოებით დამშვენებული. ინვალეს მათრახებმა და დაიწყო! თითქოს უფსკრულის პირას ორი მოქიშპე ძალა დაეგაკა ერთიმეორეს და გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — ბანაგრძობს ანა ანტონოვსკაია, — საავდრო ცაზე გაისხნა ყველა ანგელოზი, დარჩა მხოლოდ ერთი, ბიკფორდის პატრუქვიანი ალმოდებული კითხვა: „ვინ ვის?“ ვაისმა ცხენთა ფლოქვების ხმა. სამხედრო კრებამ მუსიკის ზღუდიდან კაზაკთა რაზმი გადაისროლა, ეშინეოდეს ხმლები, ქვაფენილი წითელი და ნეგბოვანი გახდა, ეეიროზეოდათ მღებარს მთელი ვადრო მეწამული საღებავი დაღვარა. და თბილისის ქუჩებში წავიდა წმინდა ღვარი, კომშმარულ სიზმართა საღებავი.

ცხენს თავი მაღლა შეუმართავს, ფაფარი ყალაზე შემდგარა, სახლთა და ცხენს შორის მანძილი ანაზდად გამქრალა, ლურჯი აბრის კუთხეში ჩანს, სიტყვა მოელეწა, ძირს დაგარდა, „ღვინო“ წყალსადენის არხში ჩაგარდნილა, აბრამ რაღა დაიშალა! კაზაკის მათრახი განუსჯელად ეცემოდას ჰაერში, ფართო ასპარეზზე გამოჭრილ დრო-ეამს ისევ ფარეხში ეფერებდა. იქნის მსგ

საქართველოს ხმა-ბგერა

სიახლე ვაზისუბანში

ბურჯაანი. (საკ. კორ.). ახლახან კიდევ ერთი სიახლე შეემატა ვაზისუბანს, — დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლის კანალიზაციის პირველი რიგის მშენებლობით გათვალისწინებული ნაგებობანი. ახლა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები — კულტურის სახლი, კოლმეურნეობის კანტორა, ამბანი და სხვა შენობები, სოფლის დასახლებას ნახევარი ჩართულია საკანალიზაციო ქსელში. მშენებლობა კოლმეურნეობის სახსრებით განხორციელდა და დაჯდა 170 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე რ. მღებრიშვილი) გადაწყვეტილი აქვს გამოპყოს თანხები და ახალ ხუთწლედში განახორციელოს სოფლის მთლიანი საკანალიზაციო სამუშაოები.

მაღალმთიან მუხურაშიც

ტყიბული. (საკ. კორ.). სულ უფრო უმჯობესდება ავტოტრანსპორტით მაზავრთა მომსახურება. ქალაქის ქუჩებსა და სოფლის შარაგზებს ათობით ცისფერი ავტობუსი სერავს.

ამ დღეებში ახალი საავტომობილო მარშრუტები დაინიშნა ქალაქის განაპირა — გაბრიაძისა და გურამიშვილის ქუჩებზე. რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა დაწესდა „ცხრაჯვარის" სანატორიუმთან. მაღალმთიან და ყველაზე შორეულ სოფელში მუხურაშიც დაინიშნა საავტომობილო მარშრუტი. მუხურელებს ახლა ყოველდღიურად ორი ავტობუსი ემსახურება.

□



ქურორტ გაგრაში ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და მაღაზიების ქსელი. ამ დღეებში აქ გაიხსნა ახალი სადეგუსტაციო პავილიონი, სადაც დამსვენებლებს შეუძლიათ გასინჯონ და შეიძინონ ქართული და აფხაზური კონიაკები და ღვინოები.

სურათზე: სადეგუსტაციო პავილიონის საერთო ხედი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

□

ზრუნვა პენსიონერებზე

თიანეთი. (საკ. კორ.). წლის პირველ ნახევარში პენსიებისა და დახმარების სახით გაიცა 458.600 მანეთი, მათ შორის შრომის პენსიონერებზე — 211.600 მანეთი, სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე — 64.130 მანეთი, კოლმეურნეებზე — 173.390 მანეთი.

გარდა პენსიებისა და დახმარებისა, ზოგიერთმა პენსიონერმა და სამამულო ომის ინვალიდმა მიიღო სანატორიუმის საგზურები 500 მანეთის საერთო ღირებულებისა.

წლის მერვე ნახევარში პენსიებისა და დახმარების რაოდენობა გაიზარდა.

ე. ს. მაღრაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის საბჭოს სხდომაზე, ელგუჯა სამუელის-ძე მაღრაძემ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციის თემაზე: „**გრიგოლ ორბელიანი**" (მონოგრაფია).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **ე. ს. მაღრაძისათვის** ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ფიდე-ს პრეზიდენტის აზრით

მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ორი ნახევარფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიელმა ჟურნალისტმა ბ. ბრეკინსკიმ თხოვნით მიმართა ფიდე-ს პრეზიდენტ პროფესორ მ. ეივეს ელაპარაკა ამ შეჯიბრების შესახებ.

რ. ფიშერ-ბ. ლარსენის მატჩის შესახებ მ. ეივემ განაცხადა, რომ იგი ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ჩატარდა. კითხვაზე, როგორ ხსნის „სასწაულს დენვერში", ავად ხომ არ იყო ლარსენი, პრეზიდენტმა თქვა:

„დანიელი გროსმაისტერი თავს კარგად გრძნობდა, ავად არ ყოფილა, უბრალოდ, ახლა რ. ფიშერი მასზე გაციელებით უკეთ თამაშობს". შემდეგ მ. ეივემ განაცხადა, რომ შარშან „საუკუნის მატჩის" წინ მან პირველი დაფა სწორედ ფიშერს დაუთმო, თუმცა ლარსენი გაჯიუტდა და ბოლოდაბოლოს მიაღწია თავისას. ახლა ფიშერმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ იგი დანიელზე უფრო ძლიერია.

„სად გაიმართება პრეტენდენტთა ფინალური მატჩი?

— მისი მოწყობა სურთ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის, არგენტინისა და საფრანგეთის საჭადრაკო ფედერაციებს. ეტყობა შესვენდა არ გაიმართება არც საბჭოთა კავშირსა და არც ამერიკის შეერთებულ შტატებში, უპირატესობა მიეცემა რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანას. მ. ეივეს აზრით, შეჯიბრების ძალიან კარგად მოაწყობდა იუგოსლავია, თუმცა ძალიან დაინტერესებულნი არიან არგენტინელებიც, რომლებიც ორივე პრეტენდენტს შესანიშნავ პრიზებს სთავაზობენ. სამატჩო ფონდი 3.200 დოლარს შეადგენს.

მ. ეივემ განაცხადა, რომ ადგილის არჩევის საკითხში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით თვით მონაწილეებს. ფიდე-ს შეუძლია მხოლოდ მათ ურჩიოს, მაგრამ თუ ვერაფრით ვერ მოხერხდება შეთანხმება, მაშინ საერთაშორისო ფედერაცია თვით დანიშნავს რომელიმე ქვეყანას. მალე ფიდე დანიშნავს ქვეყანას, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ბ. ლარსენი და ვ. კორჩნოი, რათა გამოავლინონ თუ ვინ არის პრეტენდენტი № 3.

ჟურნალისტმა მ. ეივეს ერთი სანტერესო კითხვაც მისცა: თუ რ. ფიშერმა მოიგო ტ. პეტროსიანთან და ამრიგად ბ. სპასკისთან შეხვედრის უფლება მოიპოვა, სად მოეწყობა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე? ამის შესახებ პრესაში ხომ დღემდე არაფერი არ გამოქვეყნებულა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს პირველობაზე აქამდე მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეები თამაშობდნენ.

მ. ეივემ განაცხადა, რომ ბ. სპასკი-რ. ფიშერის შესაძლებელი მატჩის შემთხვევაში დებულების თანასწორად პირველი 12 პარტია (მატჩის პირველი ნახევარი) უნდა გაიმართოს პრეტენდენტის ქვეყანაში, დასკვნითი 12 პარტია კი საბჭოთა კავშირში. არის სხვა ვარიანტიც — თუ მეტოქეები მოიფაპარაკებენ, მათ შეუძლიათ მატჩი მთლიანად ითამაშონ რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში.

ეივემ დაასკვნა, რომ ტ. პეტროსიან-რ. ფიშერის მატჩი გაიმართება სექტემბერ-ოქტომბერში, მომავალი მატჩი კი მსოფლიოს პირველობაზე — 1972 წ. გაზაფხულზე.

მატჩები, შეხვედები

გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. ეი მათი შედეგები: ტომბოევის „სპარტაკი" — სოხუმის „დინამო" 0:1, ლაპეკცის „მეტალურგი" — ეორონეჟის „ტრუდი" 0:1, სარანსკის „სპარტაკი" — ტყიბულის „შეშახტე" 1:0, პენზის „ხიმმაშოვეცი" — ბათუმის „დინამო" 0:0, პოლოცკის „მაშინოსტროიტელი" — ვლადიმირის „მოტორი" 0:0, ფოთის „კოლხეთი" — რუსთავის „მეტალურგი" 0:4.

ტურნირი დონის როსტოვში

დონის როსტოვის სპორტის სასახლეში დაიწყო ჩვენი ქვეყნის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირის სიძლიერეზე მეტყველებს მეტოქეთა შემადგენლობა. სტარტზე გამოდიან ისეთი აღიარებული გროსმაისტერები, როგორიც არიან: ვ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი, ლ. ზტეინი, და სხვები.

ბ. სპასკის მონაწილეობით

28 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ქ. ვანკუვერში გაიმართება კანადის ღია ჩემპიონატი ჭადრაკში. ეს ფაქტიურად დიდი საერთაშორისო ტურნირი გახლავთ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და ამერიკის გამოჩენილი გროსმაისტერები. დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოს ჩემპიონ ბ. სპასკის თამაში. მის გარდა მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს გამოჩენილმა დანიელმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმა და ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესმა მოჭადრაკეებმა.

„კანადის „ღია ჩემპიონატი", როგორც ყოველთვის, ჩატარდება ე. წ. „შვეიცარიული სისტემით", 11 ტურად.

ვინ იქნება სეკუნდანტი?

მოახლოვდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჭადრაკში.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანს, ისევე, როგორც ყოველთვის ამზადებენ გროსმაისტერი ა. სუეტინი და საერთაშორისო ოსტატი ი. ზაიცევი.

გროსმაისტერ რ. ფიშერს პრეტენდენტთა ადრინდელ მატჩებში მ. ტაიმანოვსა და ბ. ლარსენთან სეკუნდანტი არა ჰყოლია. გადაღებულ პარტიებს იგი თვით არჩევდა. ახლა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციის დირიჟორ-განმკარგულებელმა ე. ედმონდსონმა განაცხადა, ტ. პეტროსიანთან მატჩში რ. ფიშერს აუცილებლად დასჭირდება თანაშემწე. ე. ედმონდსონი აპირებს მოლაპარაკება გამართოს რომელიმე გამოჩენილ უცხოელ მოჭადრაკესთან, რამდენადაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად არ არის სათანადო ძალის გროსმაისტერი. ლ. ევანსს, რომელიც ორიოდე წლის წინ რ. ფიშერის სეკუნდანტი იყო, არ შეუძლია რამეთი დაეხმაროს მას. ამერიკის საჭადრაკო ფედერაციამ ფიშერის სეკუნდანტობა შესთავაზა გამოჩენილ ებგოსლავ გროსმაისტერ ს. გლიგორიჩს, მაგრამ ამაზე უარი მიიღო.

ბორჯომის ხეობა მშრომელთა დასვენების შესანიშნავი ადგილია. აქ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ახლა ბორჯომის ტურისტულ ბაზაში. აქ ერთდროულად გაატარებს დასვენების დღეებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული 400-ზე მეტი მშრომელი.

სეზონის განმავლობაში ბორჯომის ტურისტული ბაზა 15 ათასზე მეტ დამსვენებელს მოემსახურება.

სურათზე: ბორჯომის ტურბაზის დამსვენებლები ეცნობიან ქალაქის მიდამოებს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ცნობათა კუთხე

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1971 წელს შემდეგ სპეციალობებზე

წარმოებისაგან მოწყვეტით: 1. ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, 2. დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, 3. ალგებრა და რიცხვთა თეორია, 4. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, 5. გეომეტრია და ტოპოლოგია, 6. მათემატიკური ლოგიკა და პროგრამირება, 7. გამოთვლითი მათემატიკა, 8. თეორიული კიბერნეტიკა, 9. თეორიული მექანიკა, 10. ელექტრომაგნიტული ფიზიკა, 11. რადიოფიზიკა (ვაკუუმური რადიოფიზიკური), 12. მყარი სხეულის ფიზიკა, 13. გეოფიზიკა, 14. ატომბირთვის და კოსმოსური სხივების ფიზიკა, 15. არაორგანული ქიმია, 16. ანალიზური ქიმია, 17. ორგანული ქიმია, 18. მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, 19. გენეტიკა, 20. ადამიანის პროდუქტების საქონელმცოდნეობა, 21. სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა, 22. სკკპ ისტორია, 23. პოლიტიკური ეკონომია, 24. სახალხო მეურნეობის (ვაჭრობის, მრეწველობის) ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა, 25. აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოთა მექანიზაცია, 26. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, 27. ენათმეცნიერების თეორია, 28. ოქტანოლოგია, 29. საერთაშორისო სამართალი.

წარმოებისაგან მოწყვეტილივ: 1. მათემატიკური ანალიზი, 2. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, 3. გეომეტრია და ტოპოლოგია, 4. ასტრონომია და ცის მექანიკა, 5. თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, 6. ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, 7. ორგანული ქიმია, 8. ბიოფიზიკა, 9. ბიოლოგიური ქიმია, 10. ზოოლოგია, 11. ბეტროგრაფია, 12. სსრკ ისტორია, 13. მსოფლიო ისტორია, 14. პოლიტიკური ეკონომია, 16. ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, 17. მშენებლობის ეკონომიკა, 18. მეცნიერული კომუნიზმის თეორია, 19. ფოლკლორისტიკა, 20 რუსული ენა, 21. საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფია.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებენ მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, ხოლო **წარმოებისაგან მოწყვეტლივ** 45 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სულ მცირე 2 წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არჩეული სპეციალობის პროფილით, აგრეთვე ის პირნი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოების რეკომენდაცია ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით — 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; 2) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ნოტარიალურად შემოწმებული დიპლომის ასლი; 3) დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან; 4) ავტობიოგრაფია; 5) ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან საასპირანტო რეკომენდაციის გაცემის შესახებ; 6) გამოქვეყნებული ნაშრომების სია. ის პირნი, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე. **მისაღები გამოცდები** დაიწყება ა. წ. 5 ოქტომბრიდან.

დაწერილებითი ცნობებს მიიღებ შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

თბილისის № 35 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს ქალისა და კაცის ზედა ტანსაცმლის კვალიფიციურ მკერავებს.

მოსწავლეები კონსტრუირების გაკვეთილებზე შეისწავლიან კაბისა და შარვლის გამოკრას.

სასწავლებელში მიიღებიან 16-დან 25 წლამდე ასაკის ქალიშვილები, რომლებსაც აქვთ საშუალო ან 8 კლასის განათლება.

სწავლების ვადა საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის 1 წელია, 8 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის — 2 წელი.

მოსწავლეები, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ აკადემიური წარმატება, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და მიეცემათ პრაქტიკული მუშაობის შედეგად გამოშუშავებული თანხის 30%.

წარჩინებით კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს დასწრებულ ან დაუსწრებელ განყოფილებებზე უპონკურსოდ, შესაბამის სპეციალობაზე. ხოლო დღის დასწრებულზე — საერთო წესის მიხედვით.

სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო განათლების ატესტატი; 2. არასრული საშუალო განათლების მქონე შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ 8 კლასის დამთავრების მოწმობა; 3. დაბადების მოწმობა; 4. სამედიცინო ცნობა ფორმა 286; 5. სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4; 6. ცნობა საცხოვრებელ ადგილიდან; 7. დახასიათება სკოლიდან.

სასწავლებელში შემსვლელი პირადად ადგენს პასპორტს.

განცხადებები მიიღება ა. წ. 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება **1 სექტემბერს.**

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, კალინინის ქ. № 60; ტელ. 95-26-66, 95-62-38.

ქუთაისის № 67 ქალაქის ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **რადიოდანადგარებისა და ტელევიზორების შემკეთებლები.** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი),
2. **ხაყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობათა შემკეთებლები** (სწავლის ხანგრძლივობა 1,5 წელი),
3. **ქალისა და ბავშვის ზედატანსაცმლის ინდივიდუალური მკერავები** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი),
4. **კაცისა და ბავშვის ზედატანსაცმლის ინდივიდუალური მკერავები** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი),
5. **ფეხსაცმლის ინდივიდუალური მკერავები** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი).
6. **ზენაკალ-ავტოშემკეთებლები** (სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი.).
7. **ფოტო-კინოგადაღების უნივერსალური ფოტოგრაფები** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი).
8. **საათის შემკეთებელი, მეგაათეები** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი).

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 30 წლის ასაკამდე გოგონები და ვაჟები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება.

ტექნიკურ სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი). 2. დაბადების მოწმობა. 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286) 5. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ. 6. ექვსი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4) გადაღებული უმუდოდ. 7. სამხედრო ბილეთი ან ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ, 8. ავტობიოგრაფია, 9. დახასიათება, 10. პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები არ ეწყობა. მოსწავლეთა მიღება ხდება საშუალო სკოლის დამთავრების ადესტატის ნიშნების მიხედვით.

უპირატესობით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულები, წარმოებიდან წარგზავნილები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდთა შვილები და ობლები.

სასწავლებელში სწავლა უფასოა. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ დამაკმაყოფილებელი შეფასება, მიეცემათ სტიპენდია, ფრიადოსნებს 25%-ით გადიდებული, გარდა ამისა მოსწავლეებს საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხიდან მიეცემათ 33%.

ტექნიკურ სასწავლებელში არიცხულებს სწავლის პერიოდში ეძლევათ გადავადება საბჭოთა არმიაში გაწვევისაგან.

ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები კონკურსის გარეშე მიიღებიან საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო მონათესავე სპეციალობაზე სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებელში.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე ყოველდღიურად გარდა კვირადღისა, 9-დან 17 საათამდე.

გასაუბრება და სამედიცინო შემოწმება 10 აგვისტომდე.

სწავლა იწყება 1 სექტემბრიდან

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის დირექციაში.

მისამართი: ქ. ქუთაისი წულუკიძის ქუჩა № 189 (რძის ქარხნის წინ) ავტობუსი 11.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ქ. რუსთავის ქიმიური მრეწველობის № 16 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ერთი წლის სწავლების ვადით

1. კაპრონის, ბოჭკოს მგრეხავები; 2. კაპრონის ბოჭკოს გადამხვევები; 3. კაპრონის ბოჭკოს მქსოველები; 4. ქიმიური მრეწველობის დანადგარების მეაპარატეები.

ორი წლის სწავლების ვადით

1. ელექტრომონტიორ-შემკეთებლები; 2. ტექნოლოგიური დანადგარების შემკეთებელი ზეინკლები; 3. ავტომატური საკონტროლო საზომი ხელსაწყოების აწყობი ელექტრომონტიორ-შემკეთებლები; 4. ელექტროაირშემდუღებლები; 5. ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტები.

სამი წლის სწავლების ვადით

1. კაპრონის ბოჭკოს მგრეხავები და გადამხვევები; 2. ტექნოლოგიური დანადგარების შემკეთებელი ზეინკლები; 3. ქიმიური მრეწველობის მეაპარატეები.

სასწავლებელში ერთწლიანი და ორწლიანი სწავლების ვადით მიიღებიან არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გოგონები და ვაჟები 16 წლიდან 30 წლის ასაკამდე, **ხოლო სამი წლის სწავლების ვადით 15 წლის ასაკიდან,** რომელთაც აქვთ რვა კლასის განათლება.

ახალგაზრდები, რომლებიც მიღებული იქნებიან სასწავლებელში სამი წლის სწავლების ვადით, სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ სპეციალობას არჩეული პროფესიის მიხედვით და საშუალო სკოლის ატესტატს.

სასწავლებელში შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. განცხადება (სასწავლებლის დირექტორის სახელზე); 2. ატესტატი (დედანი) ან ცნობა განათლების შესახებ; 3. დაბადების მოწმობა (დედანი); 4. დახასიათება სასოფლო საბჭოდან ან სკოლიდან; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ (ვაჟებისათვის); 7. ფოტოსურათი 6 ცალი (ზომა 3X4); 8. ავტობიოგრაფია.

პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან სამხედრო მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო კმაყოფით ან სტიპენდიით 36 მანეთის ოდენობით, სავალდებულო სამხედრო სამსახურმოხდილნი მიიღებენ სტიპენდიას 60 მანეთამდე. ფრიადოსნები მიიღებენ 25%-ით გადიდებულ სტიპენდიას და უმაღლეს სასწავლებელში საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე გადმიდების უფლებას.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სტაჟად. მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკის გაკლის დროს მიიღებენ გამომუშავებული ხელფასის 33 %-ს.

განცხადებების მიღება წარმოებს დილის 9 საათიდან 17 საათამდე სასწავლო კორპუსში.

სასწავლებლის მისამართია: ქ. რუსთავი ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორია. ტელ. 12-21-56. ავტობუსი № 1, 4, 4-ა, 5. ტროლეიბუსი № 3.

განცხადებების მიღება დაიწყო და გრძელდება 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ბოლოდროინდელი ინფორმაციიდან

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურისტულ ბაზაზე ბოლო ორი კვირის განმავლობაში 1.000-ზე მეტ ადამიანს ეწვია ბაკურიანი. ბაზა ავსებს ბინებს, ბინებიდან ბინებზე ბინა, ბინებიდან ბინებზე ბინა, ბინებიდან ბინებზე ბინა